საქართველოს კომუნისტური პარტია (ბალშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტი

კვირა, 5 სექტემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებული პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელისმომწერთათვის გაზეთი ღირს 150 მან.

ფასი 8 მან.

№ 36 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 36

## ცოცხლათ დამარხულნი

მესამე, კომუნისტურ ინტერნაციონალის მეორე კონგრესის დიდებულ სანახაობამ (17 ივლ,—7 აგვისტ.) მთელი კაცობრიობის ყურადღება მიიპყრო, როგორც საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატის, ისე საერთაშორისო რეაქციონური ბურჟუაზიის. ამ კონგრესმა ორ ბანაკათ, ორ შეურიგებელ ბანაკათ გაჰყო კაცობრიობა; იქ გაილესა მსოფლიო რევოლიუციის მახვილი, რომელიც ჩაიბარა კომუნისტ. ინტერნაციონალის აღმასრულებელმა, მეომარმა კომიტეტმა, საერთაშორისო კომუნისტური პარტიის ბრძოლის ხელმძღვანელმა. წითელ მოსკოვისკენ იყო ყველას ყურადღება მიპყრობილი, რევოლიუციის შტაბის კრებას მისჩერებოდა ორივე მებრძოლი ბანაკი, და ამასობაში ყველას გამოეპარა მეორე ინტერნაციონალის ჩათლახ რაინდების ჟენევის, უკაცრავათ პასუხია, კონგრესი. ღვთისაგან და ადამიანთაგან მოძულებულ ამ დედაბერთა კრებისათვის ბურჟუაზიის დეპეშათა სააგენტოებსაც არ მიუქცევიათ ყურადღება, იმ ბურჟუაზიის, რომლის ერთგულ სამსახურში პროლეტარების და ღარიბ ღატაკთა სისხლში ამოითხუპნენ ეს ყოფილი „რაინდები“, ახლა კი ისტორიის სანეხვეზე გაგდებულნი.

მავრმა შეასრულა დაკისრებული საქმე, მავრს შეუძლია წავიდეს...

მარა მავრების კონგრესი მაინც შემდგარა 1 აგვისტოს, მის ანგარიშებს მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მიუღწევია „ერთობა—ბორბას“ რედაქციამდი.

კონგრესს დასწრებია 150-მდე დელეგატი. მარა ვაი ასეთ კონგრესზე დელეგატობას! თვით კონგრესის აღსარებით-მხოლოდ გერმანელი შეიდემანელები, ეს ჯალათები რევოლიუც. პროლეტარიატის, ეს მკვლელები ლიბკნეხტ-ლიუქსემბურგის, და ინგლისელი ხენდერსონელები, იმპერიალიზმის ქუსლების მლოკავები შეადგენენ მათ „ინტერნაციონალს“. ავსტრიის სოც.-დემოკრატიას (თვით რენნერ-ადლერ-ბაუერების პარტიას) უარი განუცხადებია კონგრესზე მონაწილეობის მიღებაზე. არ ჩამოსულან ამერიკის სოციალისტებიც. შვეიცარიიდან სტუმრებია კონგრესს მხოლოდ რამდენიმე დელეგატი და ისინიც უმნიშვნელო ფრაქციის წარმომადგენელნი.

„საკმაოთ ბევრი“ ჩამოსულან იტალიის ე. წ. გაერთიანებული სოციალისტები. საფრანგეთიდან მოვლინებულან ისეთი „სორტის“ დელეგატები, რომ თვით კონგრეს დაუდგენია მათი გაძევება—ალბად იქ კომუნისტების და მეორე ინტერნაციონალიდან გასული სოციალისტების მეტი არავითარი სხვა „სოციალისტები“ აღარ ეგულებით. რუსეთის სოც.-დემ. გასულია ამ ინტერნაციონალიდან (ვაი პ. აქსელროდის მოსწრებას!) დ წარმომადგენელი არ გამოუგზავნია. რუსეთის სოც.-რევოლ. წარმომადგენელი მხოლოდ „საჭირო“ განცხადებების გასაკეთებლად და სეირის საყურებლად დასწრებია....

კონგრესის პირველ ხარისხოვან ვარსკვლავების როლი, ბურთი და მოედანი დარჩენიათ გიუისმანს შეიდემან-ვანდერველდეს და მათ ჰაჟებს.

აი, ის მართლა და ნაყარ-ნუყარი, რაიც ჩემულობს მემკვიდრეობას შტუტგარტსა და ბაზელში უკანასკნელად ფრთაგაშლილ მეორე ინტერნაციონალისას. აი ის კბილებ ჩაცვივნულ, მთავრობების მორჩილ სოციალისტთა საინვალიდო კამანდა, რომელსაც სურვილი აქვს საერთაშორისო პროლეტარიატის სარდლობა დაიჩემოს! აი, ვის უნდა ხელმძღვანელობა მსოფლიო მუშათა კლასის!

საქმეც ხომ შესაფერი'ი უკისრიათ ამ საშინელ რევოლიუციონერებს და სოციალისტებს: დაუსვამთ და საგანგებო კომისიაც აურჩევიათ იმ თავსამტვრევ კითხვის გადასაჭრელათ თუ ვის ედება „ომისთვის პასუხისმგებლობა!“ მგონია, როცა წმინდა მამები საშუალო საუკუნოების მანძილზე იკრიბებოდეს თავიანთ მსოფლიო კრებულზე და კვირაობით ჩაკირკიტებდენ თავსამტვრევ საკითხს —აქვს თუ არა დედაკაცს სული, -უფრო ნაყოფიერ საქმეს აკეთებდენ, ვინემ ჟენევის სოციალისტური (ნუ ეხუმრებით!) კონგრესის საჭურისები.

დაუდგენიათ თითქმის ერთხმად: გერმანიას ედება პასუხისმგებლობა. ლოიდ-ჯორჯები და მილიერანები შეიძლება ერთხელ კიდევ მოიხედავენ ასეთ ინტერნაციონალისაკენ, რომელიც „ნაციათა ლიგის“ ფილიალურ განყოფილების ხარისხს ეპოტინება, მარა არ შეიძლება რომ მათშიაც ზიზღი არ გამოიწვიოს უკვე ვალმოხდილ მავრების ასეთ ფინიობამ.

დაუსვამთ კიდევ საკითხი ბალშევიზმის შესახებ და რასაკვირველია უარუყვიათ იგი. ოღონდაც მეტი შერცხვენა და მეტი შეგინება განა წარმოსადგენი იქნებოდა მსოფლიო ბალშევიზმისათვის, ვინემ ასეთი კონგრესის მიერ მისი მოწონება და დადასტურება? რევოლიუციონურ პროლეტარიატის მიერ უარყოფილნი სასაცილო სერიოზობით უარყოფენ პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობის გამომხატველ იდეოლოგიას! ღირდა კინემატოგრაფის არშიაზე ამ მომენტის გადატანა—ვერც ერთი მაქს ლინდერი ვერ გამოიწვევს პროლეტარების ჰომერისებურ სიცილს, როგორც ეს სურათი

ცოცხლათ გახრწნილი, მშრომელი კაცობრიობას გამცემი და მის სისხლში ხელებ ამოსვრილი გმირები. ყვითელი ინტერნაციონალის ცოცხალი ლეშები ცოცხლათ იმარხებიან. ეს ძვლები უკვე გამოიხარშა ჩემს ქოთანში—ამბობს მსოფლიო რევოლიუც. პროლეტარიატი და არ მენანება მათი გადაყრა ბურჟუაზიის სანაგვეზე.

მათ დაიმკვიდრეს ამ პროლეტარიატის საუკუნო ხსენება, მარა ხსენება წყევა-კრულვის და შეჩვენების...

დასასრულ აღსანიშნავია ერთი გარემოება. ჩვენ არა ერთხელ შევეცადეთ აგვემეტყველებია ჩვეულებრივათ ენაწყლიანი ჩვენებური მენშევიკები და გაგვეგო: სად არიან, მეორე ინტერნაციონალში დარჩენ, თუ იქიდან გამოსვლა დაადგინა მათმა უკანასკნელმა ყრილობამ? მარა მსოფლიოს კიდით-კიდემდე სახელ განთქმულ, ერთად ერთ მარქსისტულ პარტიის სუფლიორებმა მუნჯობა არჩიეს. ათასნაირად იგრიხებიან, ინსტიტუტკასავით იმანჭებიან, ინტერნაციონალზე წერილს წერილზე აცხობენ „ერთობის“ ფურნეში, მარა მთავარ საკითხზე გარკვეული რამ არ წამოცდათ და არია. ამას წინეთ ერთი ერთობელი გაკვრით სწერდა, რომ ჟენევის კონგრესზე ჩვენი დელეგატები შეხვდებიან „უფროსი ძმის“, ინგლისის მუშათა პარტიის დელეგატებსო. სად არიან ეს დელეგატები? როდის აირჩიეს, ვინ აირჩიეს, რატომ ასე კონსპირატიულად გაიპარენ?

კონგრესის ანგარიშებში ნახსენებია „საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი“, რომელიც სამანდატო კომისიაში თანმჯდომარეობდა თურმე. ვინ არის ეს „საქ. წარმომადგენელი“? ნუ თუ ბ. ირ. წერეთელია, რომელიც რამდენიმე წლის წინეთ მესამე ინტერნაციონალზე ლოცულობდა, ხოლო 1919 წ., ყვითელი ინტერნაციონალის ბერნის კონფერენციაზე სოციალისტური პურიშკევიჩის ადგილი ეჭირა უკიდურეს მემარჯვენეთა შორის? ვინც არ უნდა იყოს, ცხადია რომ ქართველ მენშევიკებს, როგორც მომჭირნე და მომარაგე ხალხს გადაწყვეტილი ქონიათ ყოველ შემთხვევისათვის ჟენევაში დელეგატის ყოლა: თუ კონგრესი მნიშვნელოვანი დარჩებოდა, ჩვენც ნახირ-ნახირო უმალვე შესძახებდენ, თუ არა და დაშნაკელებთან საზიარო ინტერნაციონალით იოლათ წაბოგინდებოდენ რამდენიმე ხანს. ალბად ჯერ კიდევ ვერ გამოურკვევიათ რომელ ხურჯინში ისკუპონ და ჩახტენ, რაკი დღევანდელ „ერთობის“ ნომერში შეუდარებელი თეორეტიკოსი და ტაქტიკოსი ს დევდარიანი სწერს ასეთი გარკვეულობით: „ჩვენ შევალთ მარტო იმ ინტერნაციონალში, რომელსაც ეს პრინციპი ე. ი. დემოკრატიული დიქტატურა) დაედება სარჩულათ, და იმედია იქ შევხვდებით ხოლმე მომავალში რუსეთის მუშათა კლასის წარმომადგენლებსაც“. რუსეთის მუშათა კლასის პარტია, ბ. დევდარიანის მტკიცე ფიცით—ეს რუსეთის მენშევიკების პარტიაა. ეს პარტია გამოსულია მეორე ინტერნაციონალიდან, მასთან შეხვედრა ქართველ მენშევიკებს შეეძლებათ მხოლოდ სხვა, არა მეორე, ინტერნაციონალში, რომელშიაც შევლენ ისინი. მაშ, ქართველი მენშევიკებიც გამოსული ყოფილან მეორე ინტერნაციონალიდან—ძალაუნებურად დაასკვნის ჩვენი და „ერთობის“ მკითხველი. არ ვიცით, ამხანაგებო და მოქალაქენო, მხოლოდ ღმერთმა იცის მათი ასავალ-დასავალი. ისევ სიზმრის ახსნის წიგნს ან მარჩიელს უნდა მიმართოთ, თორემ ბ. ბ. დევდარიანებ-თეკლათელებისაგან ვერას გაიგებთ. უმაღლესი პოლიტიკა აქვთ გადაყლაპული ამ ქონდრის ბუზმერაზებს და „ინტერნაციონალისტებს“.

## ედემში მოგზაურობის დაკვირვებანი.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც საქართველოს სამოთხრისებურ ოაზისს დაუბრუნდა ჯოჯოხეთურ საბჭოთა რუსეთიდან ბ. გაბრ. ხუნდაძე, რომელიც საქ. მთავრობის წარმომადგენლად იყო მოსკოვში. ჩამოსვლისთანავე, როგორც შეეფერება ყველა რუსეთიდან ჩამობრძანებულ თუ ლტოლვილ, ჩვეულებრივ მომაკვდავს თუ მაღალი პრობის სახელმწიფოებრივ გვამს და მით უმეტეს დიპლომატს, ბ. ხუნდაძე ლექტორის ტრიბუნაზე ავიდა. მართალია მისი გამუდმებული ფიცით და რწმუნებით ის „არც მენშევიკია და არც ბალშევიკი, ის მხოლოდ დამოუკიდებელი სოციალისტია“ (წინეთ ასეთი ჯიშის სოციალისტები „ინტერნაციონალისტს“ უწოდებდენ თავს), მარა ასეთი დამოუკიდებელი სოციალისტი გოლცების ოხვრას იწვევდა თავის აუდიტორიაში რუსეთის ისეთ საშინელებათა დასურათებით, როგორც მაგალითად, კოლბასის „კურსის“ შეტყობინებით: გირვანქა ათას ხუთასი მანეთი ღირსო! მენშევიკების დავალებით ეს „არც მენშევიკი და არც ბალშევიკი“ თბილისიდან პროვინციასაც ეწვია, 17 ადგილას წაუკითხავს თავისი საკალბასო ლექცია. არ ვიცით იქაც კბილთა ღრჭენით უპასუხებდა აუდიტორია მის ცხელ-ცხელ ამბებს თუ არა. ახლა ეს მოარული გრამაფონი თბილისში დაბრუნებულა და გაზ. „გრუზიის“ თანამშრომლობისათვის გაუზიარებია ზოგი თავისი დაკვირვების ნაყოფი, სამოთხის კუთხეებიდან გამოტანილი. ბ. ხუნდაძე სასიამოვნოთ გაუოცებია „ჩვენი ხალხის“ დისციპლინას და მაღალ კულტუროსნობას. „რა გასაკვირველია — ეუბნებოდა ის „გრუზიას“ წარმომადგენელს, რომ ამ მძიმე წუთში მასსა საშინლათ უკმაყოფილო იყოს თავის მდგომარეობით“, მარა ეს კულტუროსანი ხალხის მასსა არც კი დაიძებს თურმე დამნაშავეებს ფინანსიური და ეკონომიური უბედურებებისას...

მართალია სოფლად მოიპოვება თავისებური შეურიგებელნი, რომლებზედაც ეყრდნობიან ბალშევიკებიო, მარა უმეტეს წილად ეს სულ ყველა წმინდა წყლის რეაქციონერებია (კიდევ კარგი, რომ ჩვენმა ინტერნაციონალისტმა ქურდებათ და ყაჩაღათ არ მონათლა ყველა შეურიგებელნი, საშინელ ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობით უკმაყოფილონი), და მათ არავითარი მორალური ძალა არ მოეპოებათ და მცხოვრებთა შეგნებული ნაწილი იოლად „ლაგამს დებს“ მათო, ალბად მორალური ხასიათისვე ზომებით. მარა ჩვენს ინტერნაციონალისტს ზოგი რამ სხვა დაკვირვებაც მოუხდენია. მაგ. ნაქები ერობის ნამდვილ მუშაობაზე ჯერ-ჯერობით ლაპარაკიც კი ზედმეტიაო, მრავალი მხარე ერობის ცხოვრების აქამდის უყურადღებოდაა დატოვებული, არა თუ ტეხნიკები და სპეციალისტები, მასწავლებლებიც კი არ ყოლიათ „კომუნებს“. ძველი გზები სულ ერთიანად გაფუჭებულან, ახალი არავის გაჰყავს ..

რაც შეეხება ქალაქის თვითმართველობებს ესენი უსახსრობის გამო სულ გაშეშებულან—და ეს მაშინ, როცა ხაზინა დ მცხოვრებთა ჯიბეების ნამდვილი მუნიციპალიზაცია მოხდა ჩვენში და დაბმარება თუ სუსხი მილიონობით გადადის ერობების და უპრავების კასსაში, და გადასახადებიც დაუბრკოლებლად იკრიფება. მარა ერთ მთესველს რო ოცი მთქვლეფელი უთვალთვალებდეს, რა მილიონები და მილიარდები აამოძრავებს კომუნა-უპრავებს შემოქმედებითი მუშაობისთვის?

ბ. ხუნდაძის რწმუნებით კულტუროსანი ჩვენი ხალხი თუმცა არ დაეძებს დამნაშავეებს, მარა „ძლიერ უჩივის“ მთავრობის წარმომადგენელთა ბოროტმოქმედებებს. დემოკრატიის სამეფოში ზოგი მემამულე არხეინად იძლევა „ინფორმაციას,“ რომ მიწების ჩამორთმევა უნდოდათ, მარა „დავხარჯე“ და შევირჩინეო. ეს აკვირვებს ბ. ხუნდაძეს, მარა სინჯოს შემდეგ მოგზაურობის დროს და გამოარკვიოს, რამდენმა ადგილობრივმა „თვითმყრობელმა“ უხარჯოთაც შეირჩინა ორი და მეტი ნორმა მიწა? პიროვნების თავისუფლების და ხელშეუხებლობის გარანტია თითქმის ვერ შეუმჩნევია ბ. ხუნდაძეს დემოკრატიულ ედემში. როგორც რუსეთში, აქაც მმართველები დამთვრალი არიან ძალაუფლებითო. ზოგი არარაობა, პარტიული პროტექციით თანამდებობაზე განწესებული, მეფედ სთვლის თავსო. და ამის გამო ჩვენი არც მენშევიკი და არც ბალშევიკი ურჩევს ნ. ჟორდანიას მთავრობას: გადმოიღეთ ბალშევიკებისგან ის ულმობელობა, რომელსაც იჩენენ ისინი თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლაშიო!

აგრეთვე ურჩევს შემოიღეთ ბალშევიკების მზგავსად „საყოველთაო შრომის ბეგარა“ და საჭიროებისამებრ იძულებითი ზომების ხმარებაო! ე. ი. ყვავებმა ფარშავანგის კუდი მიიბითო,

ღმერთმა ნუ ქნას ახლანდელ პიროებებში ეს. ბ. ხუნდაძევ, თორემ შრომის ბეგარის და იძულებითი ზომების მთელი სიმძიმე დააწვება მხოლოდ მათ, ვინც ისედაც წელში მოღუნულია შრომით და სილატაკით, და ასცდება მათ, ვინც მოღუნულია ჯიბის სიმძიმით, მშრომელი ხალხის ნაოფლარით და პარტიული პროტექციით მინიჭებულ მეფის უფლებებით. არა შეჯდა მწყერი ხესა... და რა სახსენებელია შრომის ბეგარა და სხვა ასეთი ზომები იქ, სადაც კალბასის შედარებით რუსეთთან—იაფობით თავი მოგვქს ყველა ჩვენს ალმენებელთ, და მათთან ერთად თქვენც.

## ადგილობრივი პრესა.

მას აქეთ, რაც დაშნაკელთა მთავრობამ შეჯიბრება დაუწყო მენშევიკურ მთავრობას ბალშევიკების დევნა-მოსპობის საქმეში, ამ ორმა შეურიგებელმა ძალამ ნაციონალურ ნიადაგზე—იწყეს ერთმანეთთან დაახლოება კლასობრივ ნიადაგზე. ამის შესაძლებლობას აადვილებდა საბჭოთა ადერბაიჯანის შექმნა, რომელიც ერთნაირათ საძულველი და აუტანელი იყო სომეხ-ქართველ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ მთავრობებისთვის. საქართველოს მესვეურები, რომლებიც მშვენივრათ ეწყობოდენ ადერბაიჯნის ხანურ ბეგურ მთავრობას, ხოლო ვერ ინელებდენ სომხეთის დაშნაკელთა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ხელის უფალთ, ერთბაშათ იცვლიან ფრონტს და ადერბაიჯანში საბჭოთა მთავრობის გამოცხადების შემდეგ მეგობრობის ხელს უწვდიან მათ მუდმივ მოქიშპე და მოსისხლე მტერს დაშნაკელებს. უნდა შექმნილიყო კავშირი სომხეთ საქართველოს შორის, რომელსაც საფუძვლათ დაედებოდა ბრძოლა ბალშევიზმის წინააღმდეგ შიგნით და გარეთ. ეს რეალური პოლიტიკა, სავსებით შეთანხმებული მოკავშირეთა კლასობრივ ბუნებასთან, ადვილი განსახორციელებელია, რომ მას ხელს არუშლიდეს მათ შორის არსებული შუღლი, შეჯიბრება და ქიშპობა ნაციონალურ ნიადაგზე. სულ რამდენიმე დღეა რაც ამ კავშირზე სიტყვა ჩამოაგდეს პრესაში და მეგობრულად განწყობილი წრეები „ერთობ“—„ნორაშხატავორის“ პირით უკვე ერთმანეთს წვდენ ყელში. გაზ „ერთობა“ ასე ახასიათებს თავისი მომავალ მოკავშირეს:

„აქედან დასკვნა აშკარაა. „ნორაშხატავორი“ დიდი მოხარულია მოლაპარაკების შეთანხმების, მაგრამ მხოლოთ ერთი პირობით, თუ საქართველო თავის ნაწილებს სომხეთს დაუთმობს და ყველა მათ პრეტენზიებს დააკმაყოფილებს“.

ეს სიტყვები, სრულიათ სამართლიანი „ნორაშხატავორის“ მიმართ, შეიძლება სავსებით და სრული უფლებით მივუყენოთ „ერთობასაც“ და ასეთი დასკვნა მივიღოთ: „ერთობა“ დიდი მოხარულია მოლაპარაკების, შეთანხმების, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით, თუ სომხეთი უარს იტყვის სადავო ნაწილებზე და მათ საქართველოს უდავო კუთვნილებათ გამოაცხადებს.

რომელ მათგანს შეუძლებელია ამ „თუ“-ს დაკმაყოფილება? რასაკვირველია, არც ერთს, რადგან ტერიტორიის საკითხი ბურჟუაზიულ მთავრობისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია და მათი ამხრით ნება ყოფლობითი მორიგება მათ ძალ-ღონეს აღემატება.

„ერთობა“ მაინც იმედს არა ჰკარგავს დღევანდელ სომხეთთან შეთანხმებაზე და ასე აბოლოვებს ამ მხრით მიმართულ თავის უშედეგო კომპანიას:

„ჩვენთვის ერთი ცხადია. თბილისელი „ნორაშხატავორის“ ჯგუფი არის მთავარი ხელის შემშლელი სომეხ-ქართველთა შეთანხმების. მათ ძილს უფრთხობს ასეთი შეთანხმების შესაძლებლობა და ნაღველს ანთხევინებს. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სომხეთის დემოკრატია ამ აგიტაციას არ აყვება და თავის ინტერესებს უფრო მაღლა დააყენებს ამ ერთი ჯგუფის ღვარძლიან პოლიტიკაზე. მხოლოთ ასეთ შემთხვევაში შეიძლება სომხეთ-საქართველოს შორის ყოველი დავის გადაჭრა და შეგობრული ურთიერთობის განმტკიცება“.

სომხეთის დემოკრატია, რომელზედაც იმედოვნებს „ერთობა“, სწორეთ „ნორაშხატავორის“ ჯგუფს ყავს დღეს ხელფეხ გაბაწრული. ეს ჯგუფია, რომ სისხლიდან სცლის ამ დემოკრატიის და მის საუკეთესო წარმომადგენელთა გვამებით საფლავებს ავსებს. „ერთობას“ შესაძლებლად მიაჩნია ასეთ მთავრობასთან კავშირის შეკვრა. ეს სრულიათ ბუნებრივია, რადგან სავსებით შეეფერება მის კლასობრივ ბუნებას. ცხადია მხოლოდ ერთი რამ: სომხეთ-საქართველოს დემოკრატიის კავშირი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც აქაც და იქაც სავსებით მოსპობილი იქნება „ნორაშხატაორის“ ჯგუფის და მისი მონათესავე ძალების ყოველივე გავლენა.

# საბჭოთა რუსეთის პრესა.

## ინგლისელები რუსეთში.

ჩვენ გვესტუმრენ ინგლისის პროფეს. კავშირების მემარჯვენე და ზომიერი დელეგატები, რომლებიც გატენილი არიან ბურჟუაზიული ტყუილებით რუსეთის შესახებ, და რომლებსაც სურთ შეამოწმონ ინგლისის ბურჟუაზ. გაზეთებიდან ამოკრეფილი ცნობები.

გამომგზავრებინ წინ ინგლისის ბურჟ. გაზეთები არწმუნებდენ მათ, რომ ბალშევიკები არაფრის გულისთვის არ აჩვენებენ მათ რუსეთის ნამდვილ ცხოვრებას. და აქაც, ჩვენშიც მოიძებნება კეთილი გულინ ხალხი—სხვადასხვა მენშევიკები და ესერები, რომლებიც ხვდებოდენ დელეგაციას, „რამე-რუმეზე“ ეფურჩულებოდენ მათ და უჩვენებდენ სად უნდა ჩაეხედათ ბალშევიკებისათვის არასასიამოვნო მასალის აღმოსაჩენათ,

მაგალითად, ჩრეზვიჩაიკის დათვალიერებისას ინგლისელებმა უმალვე იკითხეს ზოგიერთ დაპატიმრებულ პირთა შესახებ, სხვათა შორის ერთ ინგლისელის შესახებაც, რომლების პირადი ნახვა მოისურვეს.

დაპატიმრებულ ინგლისელმა გულახდილათ აღიარა, რომ ის დაპატიმრებულია კონტრ-რევოლიუციონურ მოღვაწეობისათვის და არ შეუძლია თავი ჩათვალოს უდანაშაულოთ დასჯილთა შორის.

ინგლისის დელეგატების შეკითხვაზე-შეიძლება თუ არა მისი აღსარება დაიბეჭდოს ინგლისურ გაზეთებში, რომ ის იყო კონტრ-რევოლიუციის აგენტი, ინგლისელმა უპასუხა:—სინჯეთ, თუ კი ინგლისის მთავრობა ნებას მოგცემთ ამის დაბეჭდვასო.

განსაკუთრებით საინტერესოა ინგლისის დელეგატების ცდა გაცნობოდენ რუსეთის სოფელს. რათა ეჭვის ნასახიც რო არ შერჩენოდათ, რომ მათ განზრახ ატარებდენ ყველაზე უფრო „ბედნიერ“ ადგილებში, თითონ მათ სურვილს მიანდვეს გემით მოგზაურობისას როდის და რომელ სოფელთან გაჩერებულიყვენ.

გლეხები ყველგან უდიდესი ინტერესით ეპყრობოდენ მოსულ სტუმრებს.

და რაზედაც არ უნდა ჩამოეგდოთ საუბარი ინგლისელებს, ყოველი უბრალო გლეხი მათდამი საყვედურით ათავებდა: რად ითმენენ ისინი თავის მთავრობას.

მაგალითად, ინგლისელები ეკითხებიან გლეხს, როგორია მისი მეურნეობის მდგამარეობა?

— ვერაფერი შვილია—უპასუხებს გლეხი,—არ იშოვება ცელი, ნამგალი, ლურსმანი. რატომ არ შემოგაქვთ თქვენ ჩვენში საქონელი? მეფესთან გქონდათ ვაჭრობა, ჩვენთან კი არ გინდათ?

— ამას ჩვენ, მუშები კი არა, ჩვენი მთავრობა სჩადის,-უპასუხებს ინგლისელი.

— თუ კი მავნე მთავრობა გყავთ, რატომ არ გარეკავთ? ჩვენ გავრეკეთ ჩვენი, დროა თქვენც გარეკოთ. ერთმანეთს უნდა შეუწყოთ ხელი—ვინ ცელს მოგვაწვდის ჩვენ ვინ ნამგალს, ჩვენ კი მოგართმევთ კანაფს, ხე-ტყეს... ინგლისელი სწრაფათ იწერს უბის წიგნაკში გლეხის უბრალო, ბრძნულ სიტყვებს.

სტუმრებს ძლიერ სურთ გაიგონ როგორია ადგილობრივი მართველობის დემოკრატიზმი და როგორ ესმით გლეხებს საბჭოთა ძალაუფლება.

— ვინ ადევნებს თქვენში თვალყურს წესიერებას და ვინ იძლევა განკარგულებებს?—ეკითხება ინგლისელი წვერმოშვებულ დარბაისელ გლეხს.

— საზოგადოების (ვოლისტის) ისპოლვომი.

— ვისი დანიშნულია ის და როდინდელი?

— ვირჩევთ ყოველ სამ თვეში საზოგადოების სიეზდზე. და თუ არ მოკვეწონა სავ თვეზე ადრეც შეგვიძლია გადავაყენოთ და ახალი ავირჩიოთ.

— დედაკაცები სარგებლობენ თქვენში უფლებებით? გლეხი ცოტა არ იყოს შეტორტმანდა.

— უფლებები აქვთ, მარა ჩვენ ვირჩევთ მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე ქალებს.

— მამაკაცებს კი ისეთებსაც ირჩევთ რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან?

— ასეც ხდება ხოლმე, ოღონდ კი ღირსი იყოს. ინგლისელი ირგვლივ თვალს შემოავლებს არემარეს დი მიუთითებს შორს:

— ვისია ეს ტყე?

— წინეთ ბატონის იყო, პომეშჩიკის ახლა კი ჩ ვ ე ნ ი ა ხ ა ლ ხ ი ს, სახელმწიფოსი.

სტუმრები მიჰყავთ ისპოლკომის კრებაზე. ისინი კითხულობენ—რის შესახება მსჯელობა ამ წუთში.

— ვისმენთ ერთი მოქალაქე—ქალის, ყოფილ წვრილ მემამულის საჩივარს სოფლის საბჭოს განაჩენზე.

— ეს ქალბატონი მარტოხელაა, მას კი გვარიანი მოზრდილი ხეხილის ბაღი აქვს. სოფლის საბჭომ მას ნაწილი დაუტოვა, დანარჩენი კი საზოგადოებას შეუერთა. მან საჩივარი შეიტანა სოფლის ყრილობაში. ყრილობამ კი იგივე სთქვა, რაც საბჭომ—მიზომილი ნაწილიც გეყოფა შენს სიცოცხლეში. კმარა, სარგებლობდი ხილით, ახლა ხალხმაც ისარგებლოსო. მან საჩივარით მიმართა ვოლოსტის ისპოლკომს და აი ახლა ირჩევა მისი საქმეო.

კვლავ სწერენ თავთავის წიგნაკებში კარანდაშით უცხო ქვეყნის სტუმრები. ალბად ვარაუდობენ, თუ როგორ წაართმევენ მათ ინგლისში სოფლის მოჯამაგირეები და გლეხები წარჩინებულ და ბრწყინვალე ლორდებს მიწას, ბაღებს და ტყეებს.

— კარგი, რევოლიუციის დროს რა გაკეთდა თქვენში ახალი?

— აი წავიდეთ სახალხო სახლში, ახალი შენობა, ამას წინეთ აგებული. ახალგაზრდობა იქ სპექტაკლებს მართავს, მიტინგებს, ლექციებს.

— წინეთ არ იმართებოდა თქვენში სპექტაკლები?

— რა სპექტაკლები უნდა ყოფილიყო წინეთ? ძროხები ბღაოდენ, გლეხები სდუმდენ. აი კიდევ—სამკითხველო და ბიბლიოთეკაა მოწყობილი. აი იქ კომუნისტების კლუბია, იმას იქით—ახალგაზრდობის კავშირი.

ინგლისელების თხოვნით ფოტოგრაფი სურათს იღებს სახალხო სახლის, კლუბის და ახალგაზრდათა კავშირისას.

სტუმრებს საუზმე მოუნდათ. ისინი მიიპატიჟა ერთმა გლეხმა და გაუმასპინძლდა თეთრი პურით (ეს სოფელი მდინარე ვოლგაზეა, დაპურებულ მხარეში), რძე, ღორის ქონი და კვერცხები.

მიტინგებზე, რომელიც იმართებოდა სოფლებში ინგლისელების სტუმრობის გამო, უბრალო გლეხები და კომუნისტები, ისპოლკომების წევრები, სტუმრების დაპირებებზე რომ ყოველ ზომებს ვიხმართ რათა რუსეთზე დავდასხმები მოვსპოთო, უპასუხებდენ და არწმუნებდენ რომ საჭიროა **დაჩქარება**:

— მთელი ბოროტების სათავე ხომ ინგლისის ბურჟუებია. ისინი აქეზებენ ყველას. ისინი რო არ ყოფილიყვენ, ჩვენ განა ასე ვიცხოვრებდით? აბა თქვენ იცით, **იჩქარეთ** და ალაგმეთ თქვენი მმართველები,—გვიმძიმს ცხოვრება, რაღა თქმა უნდა...

აი, ამ საყოველთაო ბეჯით რწმენამ, რომელიც ღრმათაა გამჯდარი ქალაქის და სოფლის მასსების შეგნებაში, რომ რუსეთის ყველა უბედურებაში დამნაშავეა ინგლისის იმპერიალიზმი, ძლიერ გააცვიფრა ინგლისელები. ისინი აღელვებით პირდებოდენ, რომ თავის სამშობლოში გადასცემდენ რუსეთის გლეხების ამ ხმას და დაბეჭდავენ ნახულ ადგილების სურათებს

— მერე ჩვენც გამოგვიგზავნეთ ის წიგნები ან გაზეთები, სადაც დაიბეჭდებაო.

იყო ასეთი შემთხვევაც.

ინგლისელებმა ბავშთა ახალშენი ინახულეს და მხიარულად ესაუბრებოდენ მუშების შვილებს, რომლებიც გამოკეთებულიყვენ აგარაკის მშვენიერ ბაღში. რამდენიმე კითხვა მისცენ ინგლისელებმა ბავშვებს და შემდეგ წინადადება მისცენ—ახლა თქვენ მოგვეცით კითხვებიო.

12 წლის ბავშვი შეეკითხა მათ:

— რატომ უჭერენ ინგლისელები მხარს თეთრგვარდიელებს?

გაოცებული ინგლისელი ეკითხება ბალღს:

— ვინ გასწავლა რომ ასეთი კითხვა მოგეცა?

— ვისი სწავლებაა საჭირო? მე თითონ ვიცი. მე გაზეთებს ვკითხულობ.

შემდეგი დაკითხვებიდან გამოირკვა, რომ ოცამდე იმავე ასაკის ბავშვიც კითხულობენ გაზეთებს და მტკიცეთ დაუმახსოვნებიათ, რომ თეთრგვარდიელებს ეხმარებიან ინგლისელები.

ხელახლა სწერენ სტუმრები წიგნაკებში, დარცხვენილი არიან ასე დაყენებითი განცხადებები რო ესმით მათი მთავრობის მიერ კონტრ-რევოლიუციის დახმარებაზე.

აასრულებენ კი თავის დაპირებებს ინგლისის დელეგატები, და ძალუძთ კი მათ მათი ასრულება—ამას მომავალი გვიჩვენებს. მარა მათმა ახლო შეხვედრამ მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა მასსებთან დაანახვა მათ, რომ საბჭოთა მთავრობა შედუღებულია მშრომელ მასსებთან და არავითარი ლოიდჯორჯებს არ შეუძლიათ მისი ამოგდება რუსეთის ნიადაგიდან.

ინგლისელებს რო შეძლებოდათ უფრო შორს, და რუსეთის შიდა კუთხეების მოვლა, ისინი უფრო ცხოველ შთაბეჭდილებებს და მასალებს მიიღებდნ. მარა ესეც საკმარისია.

სიტყვა ინგლისის მუშებზეა.

ლ. სოსნოვსკი.

(„პრავდა“ № 175)

## მიმართვა სომხის და თათრის მშრომელ მასსებს

(კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის—სპარსეთის, საქართველოს, ოსმალეთის, სომხეთის და ადერბეიჯანის დელეგატებმა შემდეგი მოწოდებით მიმართეს სომხეთის და ოსმალეთის მშრომელ მასსებს:)

„მრავალ წლების და საუკუნის განმავლობაში დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმი, რუსეთის ცარიზმი, თათრის სულთანიზმი დ დაშნაკელების შოვინიზმი სთესდენ თათრის და სომხის მშრომელ ხალხში ეროვნულ შუღლს და მტრობას ამის გამო ამ ორ ხალხს შორის მძვინვარებდა ერთი მეორის სიძულვილი და შეუბრალებლათ ხოცდენ ერთი მეორეს. ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ მოკვლადახოცვაში და ძალდატანებაში სრულიათ უდანაშაულო მსხვერპლზე. ეს ესაჭიროებოდათ თქვენი ქვეყნების მმართველ კლასებს, რომ მშრომელ მასსები ჩამოეკილებია უშუამავლო, რევოლიუციონური საქმისთვის ბრძოლის გზიდან. ამის მაგიერი მათი სურვილი იყო გადაეჩეხეთ თქვენ ეროვნულ, რეაქციონურ ბრძოლის ქარცეცხლში. გაჩაღებულ ნაციონალურ ცეცხლით და ბრმაქებულნი, იმ ცეცხლით, რომელსაც აძლიერებენ ანტანტის დამქაშები, გაბრუებული იმპერიალისტური ომის მიერ, მოტყუებულნი და შერცხვენილნი თავის წინამძღოლებითვე, სომხეთის და ოსმალეთის მშრომელ მასსებს ძალა არ შესწევდათ, რომ ჩამოეგდოთ თავისი მთავრობები და კანონიერათ გასწორებოდენ იმ პარტიებს, რომლებიც სომეხ-ოსმალეთის ხალხს სისხლის მღვრელობებისაკენ მოუწოდებდა.

რუსეთის პროლეტარების და სოფლის ღარიბების ოქტომბრის რევოლიუციამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა დასავლეთის იმპერიალიზმს და დიადი მოწოდების ხმა გადისროლა აღმოსავლეთის მრავალ მილიონიან დატანჯულ ერების გამოსაღვიძებლათ. ოქტომბრის რევოლიუცია ახდენს ღრმა გარდატეხას აღმოსავლეთის ხალხების არა მარტო აზროვნებაში და მსოფლიო მხედველობაში, არამედ ის ახდენს გარდატეხას პოლიტიკურ და ეკონომიურ ურიერთობაშიც. კლასობრივი ბრძოლის შეგნება შეიჭრა სარწმუნოებრივი ცრუ აზროვნებაშიც და აღმოსავლეთის ქვეყნებში ის აკავშირებს პროლეტარულ დემოკრატიას.

ამ ქვეყნების კომუნისტური ორგანიზაციების და პარტიების დანიშნულებაა შეაკავშიროს მშრომელი მასსები, თავი მოუყაროს მათ კომუნისტური ინტერნაციონალის წითელ დროშის ქვეშ. კომუნისტურ პარტიებმა და ორგანიზაციებმა უნდა აწარმოვონ პატიოსანი, რევოლიუციონური პროპაგანდა, რომ ოსმალეთის და სომხეთის მუშებმა და გლეხებმა შეიგნონ, შეითვისონ ძმობა ერთობის იდეია.

კომუნისტურ ორგანიზაციებმა უნდა აწარმოვონ ამ ქვეყნებში აქტიური, რევოლიუციონური ბრძოლა იმ კლასების და პარტიების წინააღმდეგ, რომლებიც ეწევიან ჟლეტა-ხოცვის აგიტაციას და რომლებიც ხელს უშლიან ამ ქვეყნებში საბჭოთა, პროლეტარულ ძალა-უფლების დამყარებას. კომუნისტურ ინტერნაციონალის მე-რე კონგრესი გადიქცა მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობის მესაჭეთ დასავლეთისთვის. მან შეაერთა 24 ქვეყანა და ხელმძღვანელობს აღმოსავლეთში ახალი, პროლეტარული კულტურისათვის ბრძოლას. ჩვენ ბოლო უნდა მოუღოთ საშუალო საუკუნოების სიბნელეს და ჩვენი მმართველი კლასების ინკვიზიტორობას, მათი თავაშვებულობას.

თქვენ, ძვირფასო ძმებო და ამხანაგებო, გაბატონებულმა კლასებმა გადაგაქციეს უბრალო იარაღათ თავისი უმგვანო მიზნების—გამდიდრების—განსახორციელებლათ, თქვენ ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოუღოთ მმართველ კლასების ბატონობას. სომხეთის მუშებს და გლეხებს იმგვარათვე სძაგთ თავიანთი მდიდრები და კულაკები, როგორც თათრის ღარიბებს სძაგთ თავიანთი ეფენდები (ბატონები), ფაშები და ბეგები.

აღმოსავლეთის განთავისუფლება და მისი დასავლეთის იმპერიალიზმის მონობისაგან დახსნა დამოკიდებულია აღმოსავლეთის ხალხის გაერთიანება-შეკავშირებაზე. აღმოსავლეთის განთავისუფლება უმთავრესათ დამოკიდებულია სომხეთის და ოსმალეთის, სპარსეთის, კავკასიის, ინდოეთის, ეგვიპტის და სხვა აღმოსავლეთის ქვეყნების მუშების და გლეხების გაერთიანებაზე, მათი მჭიდრო კავშირზე.

შეიგნეთ საკუთარი ინტერესები, თქვენი განთავისუფლების საქმე თქვენ ხელთ არის. თქვენი პროლეტარული სოლიდარობა, ძმობა და ერთობა—აი ეს არის თქვენი ბედნიერების და გამარჯვების თავდები. ეს გამარჯვება კი თქვენს თვალ წინ გადაშლის სულ ახალ ხანას, ხანას შრომის მშვიდობიან სოციალისტურ ცხოვრებისას. ეს ხანა არ იქნება, სისხლის ღვრის, მხეცური ვაკხანალიის და არა ადამიანური, უმგვანო ძალდატანების ხანა.

ჩვენ ფიცს ვღებულობთ სომხეთის და ოსმალეთის მუშა და გლეხებისაგან, რომ ისინი არ აყვებიან ნაციონალისტების უმგვანო პროვოკაციას და ყოველთვის დაუჯერებენ და გაყვებიან კომუნისტურ პარტიებს, რომლებიც გაერთიანებული არიან მე-3 ინტერნაციონალში. აქ, ინტერნაციონალში ჩვენი ძმური გაერთიანება იმ ქვეყნების წარმომადგენლებთან, რომლებიც წინათ ერთი მეორეს ჟლეტდენ—ნათელი მაჩვენებელია იმისი, რომ მოხდა ნამდვილი, დიადი, ძმური გაერთიანება. ინტერნაციონალმა გააერთიანა მთელი კაცობრიობა განუსხვავებლად და აგრეთვე გააერთიანა ერთ განუყოფელ, პროლეტარულ რგოლში სომხეთი და ოსმალეთი.

გაუმარჯოს აღმოსავლეთის განთავისუფლებას!

### დელეგატები:

**ოსმალეთის:** იზმაილ ხაკკი, კუსრეტ ნიხად, ლავუტ ზეკი.

**სომხეთის:** ნაზარეტიანი, ნურიდხანიანი, მიასნიკოვი.

**სპარსეთის:** სულთან ზადე, ორუდევი, ხადჟაევი.

**საქართველოსი:** ცხაკაია, მახარაძე, ვაშაკიძე.

**ადერბეიჯანის:** გუსეინოვი, სანუნოვი.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

### საყოველთაო გაფიცვა

**ქრისტიანია**, 1 სექტ. ბრესლავლში გამოცხადებულია საყოველთაო გაფიცვა.

### კომუნისტების გამარჯვება

**ოდესა**, 30 აგვ. სამხრეთ-სლავიაში ქალაქის საბჭოს არჩევნებში გაიმარჯვეს კომუნისტებმა; მთელ რიგ ქალაქებში ხმის დიდი უმეტესობა კომუნისტებს ერგოთ.

### ლატვია-ლიტვის ომი

**ფსკოვი**, 2 სექტემბერი. ლატვიასა და ლიტვას შორის დაიწყო სამხედრო მოქმედებები. ლატვიის სამხედრო ნაწილები, რომლებიც ოპოჩკინის და ოსტროვსკის მაზრებში იდგენ, გაგზავნეს ლიტვის საზღვრებზე. ლიტვიის ჯარის კაცებს არ სურთ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება.

### ახალი მოკავშირე

**ლიონი**, 2 სექტ. ვარშავაში მივიდა ვრანგელის წარმომადგენელი გენ. მარკოვი. ის აწარმოებს მოლაპარაკებას იმის შესახებ რომ პოლონეთის და ვრანგელის ჯარებმა შეთანხმებულათ იმოქმედონ.

### სერიოზული მდგომარეობის გამო.

**მოსკოვი**, 20 აგვ. ლოიდ-ჯორჯმა, საერთაშორისო მდგომარეობის გართულების გამო უარი განაცხადა ლიუცერნში დასასვენებლათ წასვლაზე. ამავე მიზეზების გამო მეფე გიორგი აღარ მიდის შოტლანდიაში.

### აკადემიკოს შახმატოვის გარდაცვალება.

**მოსკოვი**, 20 აგვ. 16 აგვისტოს პეტროგრადში გარდაიცვალა ცნობილი რუსი აკადემიკოსი—ლინგვისტი ალექსი ალ. შახმატოვი. გარდაცვალებული 56 წლის იყო.

### ბალშევიზმი ბულგარეთში.

**ტრაპიზონი**, 20 აგვისტო. გაზ. „იკბალი“ იტყობინება, რომ ბულგარეთის კომუნისტების მუშაობა თანდათან ძლიერდება. საბერძნეთის პრესა გრძნობს ბულგარეთში რევოლიუციის მოახლოვების დღეს და ფრაკიაში მიმავალ სამხედრო პირებს ურჩევს იყვნენ ძლიერ ფრთხილათ.

### არალეგალური მუშათა საბჭო.

**მოსკოვი**, 3 სექტ. ვარშავაში არალეგალურათ მუშაობს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო. საბჭომ გამოსცა მოწოდება, სადაც ამბობს, რომ ახლო არის ის დრო, როდესაც განადგურებული იქნება პოლონეთის შლიახტა და მასთან ერთად ეხლანდელი სოციალ-გამცემლების მთავრობაო.

### თათრის ქალები ორდაში.

**ორდა**, 12 აგვ. ქალაქ ორდაში (შავი ზღვის პირად) თათრის ქალებმა მაზრის უფროსის—დანიშ-ბეის ცოლის თავმჯდომარეობით შეადგინეს კომიტეტი, რომლის მიზანია ორდის მოხალისე ჯარისკაცებს შეუკერონ ტანისამოსი. ორი დღის განმავლობაში შეკერეს 250 ხელი ტანისამოსი, რომელიც ჩააბარებს „უფლების დამცველ საზოგადოებას“.

### სამხედრო ოპერატიული რადიო-ცნობა.

### პოლონეთის ფრონტი.

**ბრესტ-ლიტოვსკის** რაიონში გრძელდება ბრძოლები ამ ქალაქის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით.

**ხოლმის რაიონში** ჩვენმა ნაწილებმა გადარეკეს მოწინააღმდეგე მდ. დასავლეთ ბუგის მარცხენა მხარეზე.

**ვლადიმირ-ვოლინის** რაიონში ჩვენ დავამარცხეთ მტრის ერთი ძლიერი რაზმი. ტყვეთ წამოვიყვანეთ 1000 კაცი.

**ლვოვის** რაიონში ჩვენმა ნაწილებმა კონტრ შეტევით დაამარცხა შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგე. ისინი შევავიწროვეთ დასავლეთისკენ. ამ ბრძოლაში ჩვენ წამოვიყვანეთ 300 ტყვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა ორგანიზაციებს და წევრებს.

ძვირფასო ამხანაგებო! „ახ. **კომუნისტი**" გამოდის „ბრძოლის" მაგიერ. ის მუშების და გლეხების გაზეთია; იგი როგორც „ბრძოლა", ისე „ახ. კომუნისტი" დაიცავს მთელი მშრომელი მასსის ყველა დაჩაგრულთა და შევიწროებულთა ინტერესებს. აშკარაა, რომ თავისი ორგანო თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა ასაზრდოონ, თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა მისცენ მას არსებობის საშუალებანი.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! აღმოუჩინეთ თქვენი არსებით ინტერესების დამცველ გაზეთს „ახ. კომუნისტს" ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება. მიიღეთ ყოველგვარი ზომები მის გასავრცელებლათ ფართო მასსაში, გამართეთ ხელის მოწერა მის სასარგებლოთ. ამით თქვენ უზრუნველყოფთ მის არსებობას.

**საქართვ. კომუნისტ. ორგანიზაციების დროებ. ცენტრალური კომიტეტი.**

---

ხელთ ვიგდეთ სამი გაფუჭებული ზარბაზანი და 20 ტყვიის მფრქვეველი.

**ყირიმის ფრონტი.**

ყირიმის ფრონტზე გრძელდება მედგარი ბრძოლები.

---

# ის.

როდესაც ქვეყნად ის იყო ერთი,
ვით დასაწყისი სიცოცხლის, ბრძოლის,
და სპეტაკ სახეს გაუშუქებდა
მზის ჭიატივით ღიმილი ბრძოლის,
მაშინ თვით ბრძანა, რომ გასჩენოდა
შთამომავალი ურიცხვ მრავალი.
ახლა ბრძანება და დღეს იმ აზრმა
სხვა აზრი შობა სხვა მომავალი!

—

ის იყო სიტყვა და სიტყვა იგი
გულწრფელი იყო, უმწიკვლო ყოვლად,
აწმყოს მორწმუნეთ ის გვიხატავდა
წითელ უდაბნოთ! ხან წითელ თოვლად!
ვენამებოდით ჩვენც ამ უდაბნოს,
ხან თოვლს ზედ სისხლათ ვეპკურებოდით,
ცელებ მომართვით ეკლიან გზასა
ოფლად და ცრემლად ვეწურებოდით.

—

ქვეყნად ველოდით სიმართლის მეფეს,
ეს გზაც ამისთვის იყო საშური,
გზას ეკირწყვლოდა ბრილიანტები,
ჩვენის მკერდიდგან ჩამონაწური.
და ის კი მხოლოთ წინ მითითებით
ნიშანს გვაძლევდა მარჯვე გეგმებათ,
მამათ მთავრობდა და ქვეყანაზე
ყველას სახავდა შვილებათ, ძმებათ!...

—

მაგრამ, როდესაც გზა გავიყვანეთ
და მაცხოვარიც გამოჩნდა ზედა
მის ძლიერ რისხვას ვერვინ გადურჩა,
ვინც კი მაცხოვრის მიღება ჰბედა!
ძველი სიტყვები, ძველი გეგმები,
ძველი აღთქმები, ძველი რჩევანი...
რჯულის კოდექსი გამოგვიცვალა
და ხელში მოგვცა სხვა „კურთხევანი"!

—

და მაცხოვარიც როცა იხილა
უტანსამოსო და ფეხტიტველი,
პირველად მან სთქვა, „ავაზაკია"!
და შესაპყრობათ მოჰკიდეს ხელი.
ბრბომ უგუნურმა ტაში დაუკრა
„ჯვარს აცვი ეგ!" დაიღრიალა.
და ჯოჯოხეთმაც ამ ქვეყნიურმა
გამოიჩინა უხეში ძალა!..

—

მაშინ შევხედე, მაგრამ ვერ ვიცან,
ცრემლი მიშლიდა, მწარეთ ვსტიროდი,
და ჩემს თავს ასე ვეკითხებოდი:
„კაიაფაა ის, თუ იროდი?!"

**ნ. ზომლეთელი,**

---

# მუშათა წერილები

**ვინ იმსხვერპლა?**

(ამხ. რაჟდენ ზამთარაძის ხსოვნას)

„სიკვდილს თან მოსდევს ისევ
სიცოცხლე,
სიცოცხლეს ბრძოლა შეუწყ-
ვეტელი".

**ვ. რუხაძე.**

იმ თავისუფალ და „ზურმუხტოვან" საქართველოში, რომლის ქება-დიდებით პლანეტების მცხოვრებსაც კი არ ასვენებენ, ჩვენ კომუნისტებს ჯერ არ გაგვითენებია ისეთი ბრწყინვალე დღე, როდესაც თავისუფლათ და უშიშრათ გვემოქმედნია. მუდამ დევნა შევიწროვება, მუშების ნება-სურვილის ფეხ ქვეშ გათელვა, მოკლეთ, კომუნიზმის ძირ-ბუდიანათ აღმოფხვრა—აი ჩვენი მამების („მარქსისტების") დღიური ლოზუნგი.

ასეთ მომენტში, და ამ რეპრესიების წინაამდეგ ბრძოლა რასაკვირველია ადვილი საქმე არაა. ფოლადის გულისა და დაუშრეტელი ენერგიის პატრონი უნდა იყო რომ გადიტანო ესოდენი დამცირება და უკულმართობა. მაგრამ იმდენათ გაძლიერდა და გაფართოვდა მუშების ზღვა-გულში კომუნიზმისადმი მისწრაფება, რომ მის დასამარება არავითარ ტლანქ-ძალას არ შეუძლიან. პირიქით რამდენიც უფრო მეტია დევნა-წამება, იმდენად უფრო ასალკლდევებს და რკინის გულს აძლევს კომუნიზმის ღვიძლ შვილებს. კომუნიზმი—ეს მუშების ბრწყინვალე კანდელია, და მის განხორციელებაში ხედავენ თავიანთ, ე. ი. ჩაგრულ-ტვირთმძიმეთა ხსნას. დეე გამოგვაცხადონ „სამშობლოს" მოღალატეებათ, ნაძირალებათ, ამით ვერ ჩაჰკლავენ ჩვენს რწმენას კომუნიზმისადმი. ჩვენ ვართ ძმობა-ერთობის მოტრფიალენი და გვიყვარს მხოლოთ ისეთი სამშობლო, სადაც მუშა ხალხი იქნება გამეფებული. იქ, სადაც ჩვენ, მუშები ვიჩაგრებით და გაბატონებულია ერთი მუჭა ჯგუფი (რანაირ სამოსელშიაც არ უნდა იყოს ის)—ჩვენ ასეთი მმართველობის დამხობა გვსურს. და თუ ეს სამშობლოს ღალატია—მართალი ყოფილხართ, ჩვენ ეს გვინდა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს მუშათა კლასიც უკუაგდებს ქოფაკ—ბურჟუაზიის დამყაყებულ „პარლამენტარიზმს", და დაადგება ნამდვილ პროლეტარულ გზას.

**კ. ც.**

---

## საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

„ახ. **კომ.**", როგორც მუშათ. კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის **დანიშნულებას** სავსებით ნაყოფიერათ, როცა ის რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგურბენიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპოდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „ახალი კომ." რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყოს შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანზაციას აწვება.

**ცენტრალური კომიტეტი.**

---

# ახალი ამბები

— **გადასახადი მოწმობაზე.** მთავრობამ მოიწონა შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტი საზღვარ გარედ გასასვლელ პასპორტზე 750 მანეთის გადასახადის დაწესების შესახებ. აქედან 500 მანეთი ხაზინას დარჩება და 250 მანეთი წითელ ჯვრის საზოგადოებას გადაეცემა. შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება მიეცა დაამზადოს საზღვარ გარედ გასასვლელი პასპორტები, ამ საქმისათვის გადაიდვა 40 ათასი მანეთი,

---

# დეპეშები

**ვუნდტის სიკვდილი.**

ლეიპციგში გარდაიცვალა ცნობილი ფსიხოლოგი და ფილოსოფოსი ვილჰელმ ვუნდტი 89 წლისა.

**გერმანიის პროტესტი**

**ბერლინი,** 21 აგვისტო. გერმანიის მთავრობამ პარიზს, ლონდონს და რომს პროტესტი განუცხადა. პროტესტი გამოწვეულია იმ გადაწყვეტილებით, რომელიც უმაღლესმა საბჭომ გამოიტანა და რომელიც აღმოსავლეთ პრუსიის დასავლეთ პრუსიისაგან ჩამოშორებას ეხება.

**ახალი ვარსკვლავის აღმოჩენა**

**პარიზი,** სექტემბრის 1 (რადიო) ახალი ვარსკვლავის აღმოჩენის შესახებ სამეცნიერო აკადემია იუწყება: ახალი ვარსკვლავი წარსულ კვირას იქმნა აღმოჩენილი. ამ საკითხის შესახებ პარიზის სამეცნიერო აკადემია მთელ რიგ ცნობებისა მიიღო. ნორდმანის ცნობას თან ახლდა აკადემიკ ბიგურდანის ანალიზი. ვარსკვლავის აღმოსაჩენად მან იმუშავა არასკევს და შაბათს ღამით.

---

# ბედ-შავი მხარე.

**(მწარე მოგონება ახლო წარსულიდან).**

ეს იყო გუშინ წინ.

ერთ პატარა ქალაქის გარშემო მდებარე არე მარეს ფლობდა სიცოცხლის სული. ამ კოხტა მხარეს თავს ევლებოდა გატაცებული ალერსით მისი ძვირფასი ქალი—მთის მჩქეფარე მდინარე და საამურ სიმღერებს უმღერდა საყვარელ მშობელს. მის მოდარაჯე მთებს შორის ჰყვაოდა მინდორ-ველები ყვავილოვანი და ხეხილოვანი ბაღჩა-ბაღები.

მტრედის ფერი ცა მზის სხივებით დაქათქათებდა მის გულ-მკერდს და ღიმილით ეალერსებოდა.

მისი სული ილტოდა ცისკენ, რომ ჩაკონებოდა გულ მკერდში მზეს და მას საუკუნოთ შესისხლშენივთებოდა.

---

# პროლეტარული კულტურა

ბურჟუაზიული საზოგადოების აზრით ბალშევიზმი ცივილიზაციის გამანადგურებელია: მას ჰგონია, რომ იგი კულტურას უარყოფს; ეს იმიტომ ჰგონია მას ასე, რომ ვერ წარმოუდგენია სხვა გვარი კულტურის შესაძლებლობა გარდა ბურჟუაზიულისა. ხშირათ კომუნისტობასაც გვიკიჟინებენ და ამას უკავშირებენ ვითომდა ჩვენს ბარბარისობას. ეს იმიტომ, რომ მათ იციან ერთ დროს ქვეყნათ პირველყოფილი კომუნიზმი არსებობდა; და მართლაც პირველყოფილი კომუნიზმის ეპოქაში კულტურაც პირველყოფილი იყო: ის მართლაც კომუნისტური იყო ყველაფლათ ეს იმას ნიშნავს, რომ როგორიც იყო საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა, შენობა, ისეთი იყო მთელი მისი კულტურაც.

დღეს ქვეყნათ ბურჟუაზიული წყობილება—სტრუქტურაა გამეფებული და კულტურაც ყველაფრათ ბურჟუაზიულია. ბურჟუაზმით არის გაჟღენთილი დღეს ყოველი მხარე ცხოვრებისა. ეს იმიტომ, რომ ყველაფერში ერთი კლასია დღეს გაბატონებული—ეს კლასია ბურჟუაზია. ის თავის ხატათ და მსგავსათ ჰქმნის ყველაფერს. პირველყოფილი კომუნიზმის დროს კი არავითარი კლასი არ არსებობდა და კულტურაც საერთო ხასიათის „სახალხო", ე. ი. თემური იყო და მისი შემომქმედით თვით კოლექტივი—თემი იყო.

ისტორიულმა მსვლელობამ ახალი კლასი წარმოშვა—ეს არის ანტიპოდი ბურჟუაზიის და აი ის ჰქმნის ახლა ა ხ ა ლ  კ უ ლ ტ უ რ ა ს. აქედან ეს კულტურაც ცხადია ანტიპოდი იქნება ბურჟუაზიული კულტურის. ამიტომაა, რომ არ მოსწონს იგი ბურჟუაზიულ საზოგადოებას და ამიტომ უწოდებს იგი მას „ბარბაროსულს".

ბურჟუაზიულ „განათლებულ საზოგადოებას" აგონდება ძველი ცივილიზაციის უმწეობა და ბარბაროსების მიერ რომის იმპერიის განადგურება-აოხრება და თავის მდგომარეობის თანამედროვე გაბატონებული კლასი ძველი პატრიციების მდგომარეობას ადარებს. მარა მას ავიწყდება ის გარემოება, რომ იმ დროის ჰუნნები, გალლები და ტევტონები მართლაც მოკლებული იყვენ განვითარებულ კულტურას, მაშინ, როდესაც თანამედროვე პროლეტარიატი თვით ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ გაწვრთნა აღზარდა თავის მაღალ-განვითარებული კულტურის წიაღში. ბარბაროსს წარმოდგენაც არ ჰქონდა მეცნიერებაზე, მაშინ, როდესაც თანამედროვე პროლეტარიატმა თავისი წრიდან დიდათ ნიჭიერი ფილოსოფოსები და სახელ-განთქმული მწერლები წარმოშვა. ხშირად მის წარმომადგენლებს მეცნიერებაშიაც შეაქვთ თავიანთი წვლილი და ტეხნიკაშიაც მრავალი გაუმჯობესება. უფრო კულტურის ერთ დარგშია ის უკან ჩამორჩენილი—ეს არის ხელოვნების დარგი და ეს უმთავრესათ იმიტომ, რომ ამ დარგში მომუშავეს „დიდი მეცადინეობა" სჭირდება, რაც მუშას ჯერ კიდევ არ მოუპოვებია. ამნაირათ პროლეტარიატი აღზრდილი ბურჟუაზიული კულტურის ნიადაგზე, თვითონ იწყებს თავისებურ კულტურის შექმნას: ვინაიდან მას ვერ დააკმაყოფილებს თავისი მტრის, მოპირდაპირე კლასის კულტურა.

და მართლაც რა არის ეს კულტურა?

ჩვეულებრივათ კულტურის სახელით გულისხმობენ ადამიანის სულიერ განვითარებას, საზოგადოების „იდეოლოგიურ მხარეს". მაშასადამე მარქსის სიტყვით ის არის: „ზედნაშენი". საზოგადოების საფუძველს, ანუ დედაშენობას წარმოადგენს მისი „ეკონომიკა" და ამ ეკონომიურ საფუძველზე აგებულია დანარჩენი „ზედნაშენები": ყოველგვარი იდეოლოგიური ფორმები. ერთი სიტყვით როგორიცაა ყოფა-ცხოვრება ადაიანის, ისეთივეა მისი შეგნებაც. „შეგნება-შემეცნებას ჰქმნის და განსაზღვრავს ნივთიერი მდგომარეობა და არა პირიქით.

პირველყოფილი კომუნიზმის ეპოქაში ადამიანი სრული მონა იყო ბუნების; აქედან ის აღმერთებდა ბუნებას და თაყვანსა სცემდა მას. შემდეგ ეპოქებში კი, როცა მან სძლია ბუნებას და დაიმორჩილა მისი ძალები, ხოლო ამით შექმნილ საზოგადოებრივ ურთიერთობას თვით დაემორჩილა, იგი გახდა საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობას მონა-მორჩილი. მან ახლა გააღმერთა სიმდიდრე, ფული, აქედან ადამიანის პიროვნება და საქონელი—საცვლელი ღირებულება გახდა მისი ფეტიში. აი ის მთავარი საგნები, რომელთა გარშემო ტრიალებს ბურჟუაზიული კულტურა: სიმდიდრე, ფული, პიროვნება.

ბურჟუაზიული კულტურა ინდივიდუაალისტურია. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ჰგონია, ყველაფერი ადამიანის პიროვნებამ შექმნა და ყველაფერი ამ კერძო პიროვნულ ადამიანისათვისაა შექმნილ-გაკეთებული. მას თავისი „მე" გაუღმერთებია და თავი „ზეკაცათ" აქვს წარმოდგენილი. მას ერთიანათ დავიწყებია, რომ მის გვერდით მისივე მსგავსი ადამიანები ცხოვრობენ და რაც მას აბადია, ის შედეგია მათი კოლექტიური შრომის. მას ისიც დაავიწყდა, რომ იგი თვითონ ამ საზოგადოების გარეშე ერთ დღესაც ვერ იცოცხლებს. ის თვითონ ამ საზოგადოებრივ ძალთა სათამაშო ნივთი—ტიკინა გამხდარა და მას კი თავი ისტორიის შემოქმედათ მოაქვს. ასეთი ფიქრი და აზროვნება პროლეტარიატისათვის უაზრობაა.

იგი თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში ამჩნევს, რომ კოლექტიური შრომა ჰქმნის ყველაფერს და ადამიანი ბედნიერი ვერაა. თუ მის გვერდით ათასები უბედურებაში იმყოფებიან. ეს გარემოება ჰქმნის მასში სულ სხვა გვარ აზროვნებას და იგი ცდილობს კიდეც ეს აზრები შესაფერი ენით გამოხატოს. პირველი კომუნისტურათ მოაზროვნე ადამიანები ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ხელოსანი მუშები იყვენ. მათ არ ჰქონდათ მაშინ შესაფერი მეცნიერული ცოდნა და ამიტომ თავიანთი დებულებების დასაბუთება ვერ შესძლეს, ბურჟუაზიული მეცნიერების მეთოდები და მასალა ვერ გამოიყენეს და ამიტომ იყო, რომ მათ აპისთვის მარქსს-ენგელსს მიმართეს „კომუნისტური მანიფესტის" შესადგენათ. ამნაირათ მათ ინტელიგენტური ძალის საშუალებით ბურჟუაზიული მეცნიერების მეთოდიც თავიანთი დედა აზრების დასასაბუთებლათ მოიხმარეს. ეს იყო პირველი დიდათ ნაყოფიერი ცდა პროლეტარიატის მხრით თავისი განსაკუთრებული ახალი კულტურის შექმნისაკენ. „კომუნისტური მანიფესტი" ძვირფასია არა მარტო ისე, როგორც საუკეთესო სახელმძღვანელო, არამედ ისეც, როგორც პირველი საისტორიო დოკუმენტი, ხელთუქმნელი ძეგლი პროლეტარული კულტურის საფუძვლისა ეს ცოცხალი ნიმუშია იმის, თუ როგორი გზით ვითარდება პროლეტარული კულტურა. ბურჟუაზიული კულტურული ძალების და მეთოდების გამოყენება თავისებური ახალი კულტურის შექმნისათვის. აი მთავარი პრინციპი და სახელმძღვანელო დევიზი პროლეტარული კულტურის შემომქმედთათვის.

* * *

მაგრამ მიზან-დანიშნულება იდეოლოგიისა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ერთია, ხოლო პროლეტარულში კი სხვა. საერთოთ ყველა ეპოქებში იდეოლოგია წარმოადგენს ორგანიზაციულ ძალას უმთავრესათ საზოგადოებრივ წარმოებისათვის. მარა ეს როლი იმის და მიხედვით იცვლის ხასიათსა და მიმართულებას, თუ რომელ—კლასი ხელმძღვანელობს საზოგადოებრივ მეურნეობა—წარმოებას. პირველ ყოფილ კომუნიზმის დროს ხელმძღვანელობა ეკუთვნოდათ ყველა დამსახურებულ-გამოცდილ მოხუცებს და მათთან ერთათ ყველა წევრებს თემობისას. ამის და მიხედვით მაშინდელ იდეოლოგიაც ხელოვნება—აზროვნება საერთო, თემური ხასიათის იყო; ხოლო შემდეგში, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წარმოებს ხელმძღვანელობს ერთი განსაზღვრული საზოგადოებრივი კლასი—ბურჟუაზია და ისიც ერთი განსაზღვრული მიზნით—მოგების მოხვეჭისათვის. აქედან ამ დროის აზროვნება—კულტურა გარდა ინდივიდულისტურ-ბურჟუაზიულ.

მართალია პროლეტარული ანუ კომუნისტური საზოგადოება ჯერ კიდევ არ გაჩენილა, მარა თანამედროვე პროლეტარიატი თვით ბურჟუაზიულ საზოგადოებაშივე იწყებს თავისებურ კულტურულ შემოქმედებას და რევოლიუციის გზით ის უკვე ჰქმნის საზოგადოების ახალ შენობას, სადაც კიდევ უფრო ფართეთ უნდა გაშალოს ფრთები მისმა კულტურულმა შემოქმედებითმა ძალამ; და თუ კულტურა ანუ იდეოლოგია საზოგადოთ წარმოადგენს საზოგადოებრივ წარმოების ორგანიზაციულ ძალას, აქედან ცხადია, რომ პროლეტარული კულტურაც კომუნისტური წარმოების მოწყობის საქმეს უნდა ემსახუროს უმთავრესათ. ბურჟუაზია თუ წარმოებაში უმთავრესათ მოგების მოსახვეჭ საშუალებას ხედავს, პროლეტარიატი მას უყურებს, როგორც ერთათ-ერთ საარსებო და მაცოცხლებელ წყაროს: აქედან მისი დამოკიდებულება წარმოება მეურნეობასთან სულ სხვაა, ვიდრე ბურჟუაზიის, აქედან მისი კულტურაც სულ სხვა ხასიათის და მიზნებისაა, ვიდრე კაპიტალისტური კულტურა.

* * *

ჩვენ ვთქვით, რომ ბურჟუაზიული კულტურა ინდივიდუალისტურია; ახლა უნდა ვთქვათ, რომ ამის საწინაამდეგოთ პროლეტარული—საზოგადოებრივი ხასიათისაა: მისი საგანი, ობიექტი საზოგადოებრივი მასსაა და ამ მასის მიზანი და ინტერესები. მისი მიზანი „უსაქმო და მოცლილი" პიროვნების უაზრო „გართობა" კი არაა უმთავრესათ, როგორც ეს ბურჟუაზიულ კულტურას დასჩემდა, განსაკუთრებით თავის განვითარების უკანასკნელ, უკეთ დაცემის ხანაში, არამედ მასსის აღზრდა—გაწრთვ-

ბუნება მშობლიურ მზრუნველობას იჩენდა მზესთან მის დაკავშირებაში და სამგზავრო ხავერდოვან ტანთსაცმელს უქსოვდა.

ეს იყო გუშინ წინ.

გუშინ კი მას მზისკენ ლტოლვის ფრთები შეეკვეცა.

გუშინ მისი ცეცხლი სული ცეცხლითვე დაიწვა და დაიფერფლა. გუშინ მას გულ-მკერდი სისხლით შეელება.

გუშინ მას საყვარელი ქალი აღარ უმღერდა სიმღერებს.

ის სტიროდა მომაკვდავ მშობელს და მის გაციებულ გვამს ცხარე ცრემლს აფრქვევდა.

ცასაც მოეღრუბლა. აღარ სჩანდა მზე.

ან კი რისთვის, ან ვისთვის უნდა ჩამოეფრქვია ამ მხარეში სხივები მას, როცა მის სატრფოს უკანასკნელი წუთები ითვლებოდა.

ეს არ აკმარეს მას.

ის დაწვეს კოცონზე, ვით ძველათ წვავდენ დამნაშავეებს.

რისთვის?!

მისთვის, რომ ისიც დამნაშავე იყო!

დამნაშავე იყო მიტომ, რომ მზისკენ ილტვოდა!

ეს იყო გუშინ.

დღეს მხოლოთ ფერფლი და მოგონება ლა დარჩა ამ კეკლუც არე-მარესი

აქ სულ ბნელაა. დღე არ ცვლის ღამეს.

მხოლოთ აქა-იქ გამოჩნდებიან ტყეღრეებში მოხეტიალე შავი ლანდები და იძახიან:

„ჩვენ ვადგენთ რაზმებს, წითელ რაზმებს: სიკვდილი იმათ, ვინც ჩვენ გვაწამეს, სიკვდილი მტრებს!“

**სანდრო ეული.**

---

## ყოფილი გვარდიელის განცხადება.

**გაზ. „ახალ კომუნიტის“ რედაქციას.**

მე ყოფილი მენშევიკი და მასთან სახალხო გვარდიელი, დავრწმუნდი რა როგორც მუშა, რომ მენშევიკების პარტია არ გამოხატავს მშრომელი ხალხის ინტერესებს და სრულიად არ იცავს მას, მე მას სამუდამოთ ზურგს ვაქცევ და გადავდივარ საქართველოს კომუნისტურ პარტიაში.

მუშა **გ. ბურჯანაძე.**

---

ნა უკეთესი ადამიანური და ბედნიერი ცხოვრებისათვის, აგრეთვე ამ მასსის შემადგენელი ელემენტის, პიროვნების ყოველმხრივი ვანვითარება. და აი ყოველივე, რაც კი ბურჟუაზიულ კულტურაში აქ დასახულ მიზანს ემსახურება, ის პროლეტარული კულტურისათვისაც მისაღებია. გარკვეული ზღვარი ბურჟუაზიულსა და პროლეტარულ კულტურას შორის იქ იწყება, სადაც განსაზღვრული კლასობრივი ინტერესი და ტენდენცია ისახება.

ამ მხრით ეს ზღვარი კულტურის სხვა და სხვა დარგებში სხვა და სხვა ალაგას ძევს. მეცნიერებაში მაგალ. ამ ზღვარს დებს ის ისტორიული განვითარების საფეხური როცა საზოგადოებამ შესძლო ბუნების ძალების გამოყენება და თვით შედგა განვითარების შემდეგ ახალ საფეხურზე, როცა ეგრეთ წოდებული ნატურალური წარმოების საზოგადოება საქონლის წარმოების საზოგადოებათ გადიქცა. აი ამ დღიდანვე საზოგადოებაში ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის იდეოლოგებ შორის ჩაისახა ის ზღვარი. პირველის აზროვნების წესი და კანონი ფეტიშიური დარჩა, ხოლო პროლეტარიატის კი მეცნიერულ ისტორიული გახდა. ამ დღიდან პროლეტარიტმა ბურჟუაზიული მეცნიერებიდან მიიღო და შეითვისა, როგორც მეთოდი ისე შინაარსი მხოლოდ მეცნიერებათა ერთი რიგის, სახელდობრ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, ხოლო რაც შეეხება საზოგადოებრივ-ჰუმანიურ მეცნიერებებს, აქედან მიიღო მან მხოლოდ მასალა, რომელიც დააწყო და დაამუშავა თავისებური სისტემით, ლოღიკით და მეთოდით ეს დიადი, გრანდიოზული როლი შეასრულეს მარქსმა და ენგელსმა და დღესაც განაგრძობენ ამ როლის დამთავრებას მათი სახელოვანი მოწაფენი რუსეთში ლენინი და ბოგდანოვი.

**რაჟდენ კალაძე.**

(დასასრული შემდე №-ში იქნება)

---

# საქართველოს კომუნისტების ახალგაზრდების ფურცელი

## ყრილობის გარეკის შემდეგ

როგორც მოსალოდნელი იყო მენშევიკებმა გარეკეს კომუნისტურ ახალგაზრდობის ყრილობა. ეს მოსალოდნელი იყო იმ პარტიისგან, რომელსაც შუბლზე მიუკრავს მუშური ეტიკეტი, ხოლო საქმით კი კონტრ-რევოლიუციონურ და ბურჟუაზიულ გზას, ადგია. განა კონტრრევოლიუციონური არ არის ის მთავრობა, რომელიც ვერ ითმენს ახალგაზრდობაში კომუნისტური მიმართულების გაძლიერებას, იმ ახალგაზრდობაში, რომელსაც იგი თუმცა კი თავის პრესაში აბუჩათ იგდებს, ნამდვილათ კი ძალიან ეშინია მისი: ეშინია იმიტომ, რომ ხედავს თავის ირგვლივ არა თანამოაზრე მემკვიდრეებს, არამედ თავის პოლიტიკურ მოწინაალმდეგეთ, აღჭურვილთ ნამდვილ კლასობრივ გრძნობით და კომუნისტურ იდეოლოგიით.

ვაჟბატონ მენშევიკებს კარგათ მოეხსენებათ რა დიდ როლს ითამაშებს მომავალში ახალგაზრდობა, და იგინი სცდილობენ მოიპოვონ თანამოაზრე მემკვიდრეები მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას შორის, მაგრამ მათ კარგათ იცნობს შეგნებული მშრომელი. ახალგაზრდობა და უკვე დიდიხანია, რაც აქცია მათ ზურგი. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ მათ „ახალგაზრდა მარქსისტების“ ორგანიზაციაში შეუყრიათ თავი საქართველოს ეხლანდელ ბატონ-პატრონების შვილებს, რომელთაც იმედი აქვთ მომავალში მამა-პაპურისებურ გაითბონ ხელი საქართველოს მშრომელ მასსის გაყვლეფაში. მენშევიკებს კარგათ მოეხსენებათ, რომ ახალგაზრდობა თავის რევოლიუციონერობის გარდა, გამსჭვალულია იმ ფანატიზმით და თავგანწირვით, რომელიც აკლია „მოწიფულ“ ადამიანს, და ამის და მიხედვით ახალგაზრდობა უუსასტიკესი მტერია კლასობრივ მოწინაალმდეგისა. საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალ გაზრდა თაობამ ზურგი აქცია მენშევიკებს, რადგანაც დარწმუნდა, რომ იგინი არიან მუშათა კლასის ინტერესების გამყიდველები, რომ ის ხალხი, რომელიც ყოველ წუთს ელაქუცება კაპიტალისტებს დ იმპერიალისტებს არ დაიცავს პროლეტარიატის ინტერესებს-ეს ვაჟბატონები სცდილობენ სრულიათ დაანგრიონ კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს თავისი კლასობრივი ახლო მიზანი, რომელსაც იგი მალე განახორციელებს. პროლეტარულ ახალგაზრდობაში კომუნისტურ იდეების გავრცელებას ვერ შეუშლიან ხელს ვერც თვითონ მენშევიკები, ვერც მათი სახელოვანი მხლებელნი რაზმელები ბ. კედიას მეთაურობით. ის მშრომელი ახალგაზრდობა, რომელსაც აქვს შეგნებული თავისი კლასობრივი ინტერესი, ცხადია, დაადგება იმ გზას, რომელსაც უჩვენებს მას კომუნისტური ინტერნაციონალი. საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობა დღეს არ იწყებს ბრძოლას მუშათა კლასის გამყიდველებთან— იყო დრო, როდესაც საქართველოში ათიოდე ახალგაზრდა კომუნისტი იყო, და თუ დღეს შეკავშირებულია რამდენიმე ათასი ახალგაზრდა კომუნისტი, ეს გახლავთ შედეგი იმ ბრძოლის, რომელსაც იგი ეს ორი წელიწადია თავგანწირვით აწარმოებს ბურჟუაზიულ მთავრობის და მისი სულის ჩამდგმელთა წინაალმდეგ. მიუხედავათ იმისა, რომ ორი წლის განმავლობაში კომუნისტური ახალგაზრდობა იმყოფებოდა აუტანელ მდგომარეობაში, საუკეთესო ამხანაგები, რომელთაც შეეძლოთ ორგანიზაციული მუშაობა, იტანჯებოდენ ციხეში, დღეს იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან კომუნისტურ ახალგაზრდა არმიას, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი მოვალეობა და მიზანი. მენშევიკების ყოველი ნაბიჯი კომუნისტურ ახალგაზრდობის ორგანიზაციის, დანგრევისაკენ გადადგმული, უფრო გაალვიძებს მის ენერგიას, ამხედრებს მის მებრძოლის სულს და გაუძლიერებს მას თავისი მტრებისადმი სიძულვილს.

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობა თავის ყრილობის გარეკის შემდეგ, უფრო ღრმად დარწმუნებილი მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონობაში, შეუდრეკლათ განაგრძობს თავის მუშაობას, მშრომელ ახალგაზრდობის შორის კომუნისტურ იდეების გასავრცელებლათ; და მას ვერ შეაშინებს ვერც მენშევიკების ჟანდარმერია, ვერც ის სიძნელე, რომელსაც შეხვდება იგი თავის მომავალ მუშაობის დროს.

## 5 სეკტემბერი—საერთაშორისო დღესასწაული მუშათა ახალგაზრდობისა.

მშრომელი ხალხი, მუშათა კლასი იძულებულია, რომ სიმშილით სიკვდილს გადარჩეს, თავის ძალღონე მიჰყიდოს კაპიტალისტს. კაპიტალისტი აძლევს მუშას ისეთ ხელფასს, რომ ის, მუშა, სიმშილით არ მოკვდეს და კაპიტალისტის მოგების გამრავლება შეეძლოს. მუშათა კლასი ბარბაროსულად იყვლეფება. ის ხედავს თავის ტანჯვის მიზეზს მანქანაში და კაპიტალიზმის პირველ ხანაში. მისი აღშფოთება ასეთი ყვლეფის წინააღმდეგ გამოიხატება მანქანათა განადგურებაში, მაგრამ ეს არ შველის მუშათა მდგომარეობას. ამით ის უფრო უარესდება.

კაპიტალიზმი წარმოიშვა პირველად ინგლისში. მერე ის მოედო მთელი ევროპა-ამერიკას. ბოლოს კი მთელი ქვეყანა ჩათრეულ იქნა კაპიტალისტურ წარმოებაში.

როცა რომ მუშებმა დიდი ხნის გამოცდილების შემდეგ აშკარათ დაინახეს, კაპიტალისტი არ აკმაყოფილებს მათ ელემენტარულ ადამიანურ მოთხოვნებს. მაგ. სამუშაო დროს შემოკლება 14 საათიდან 12 საათამდე, 12 ს. 10 საათამდე და ხელფასის მომატებას, მათ მაშინ გაფიცვას მიმართეს. მაგრამ ამ დროსვე არის უმუშევართა ჯარი, რომლიდან კაპიტალისტს უფრო ცუდ პირობებში შეუძლია დაიქირაოს მუშები და ისინი, გაფიცულნი კი დაითხოვოს, ან და სხვა დარგის მუშები გადმოუგზავნონ აქ. მაშინ მუშათა კლასისათვის აშკარა გახდა რომ არ კმარა ერთი ფაბრიკის ან ქარხნის მუშათა ერთობა-სოლიდარობა, არამედ საჭიროა, რომ ყველა დარგის მუშები შეერთებული და შეკავშირებული იყვენ. და მთელი სახელმწიფოს მუშები შეკავშირდენ. ამით შეასუსტონ ის წინააღმდეგობა, რომელსაც წარმოადგენდენ უმუშევარნი მუშათა კლასისათვის თავის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

ამ დროს კაპიტალისტები მიმართავენ შემდეგ საშუალებას. თუ წინად წარმოებაში ჩაბმული იყვენ მხოლოდ მამაკაცები, ეხლა ის უკვე ერეკება წარმოებაში დედაკაცებს და ახალგაზრდებს, თითქმის ბავშვებსაც კი.

რატომ?

იმიტომ რომ ქალები და ახალგაზრდები, ჭაბუკნი ჯერ არ ჩაბმულან იმ მწარე მუშობაში, რომელსაც მამაკაცები ეწეოდენ. მართალია ამ უკუღმართობის საშინელებას ისინი ინაწილებდენ, მაგრამ მიზეზს სხვაგან ეძებდენ და ამიტომ მათ არ შეეძლოთ წინააღმდეგობა გაეწიათ პირველ ხანაში მაინც კაპიტალისტებისათვის და მხარი დაეჭირათ მამაკაცებისათვის. პირიქით, გაფიცულ მამაკაცთა ადგილს ქალები და ჭაბუკები იჭერდენ და ასე სუსტდებოდა მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტთა წინაალმდეგ.

ქალებსა და ჭაბუკთ მხეცურათ ყვლეფდენ. ამ დროს წარმოიშვა ქალთა და ახალგაზრდობის საკითხი. ორივე ეს საკითხი არის მუშათა საკითხის ნაწილი.

თუ კი მუშათა კლასის ერთი ნაწილი სახელდობრ მამაკაცნი ებრძოდენ მარტო კაპიტალისტებს, ქალებს და ახალგაზრდებს უხდებათ ბრძოლა ჯერ თავისი განსაკუთრებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მერე კი მამაკაცებთან ერთად საერთო საქმისათვის. ამიტომ მუშათა კლასი უთმობს ადგილს თავის გვერდით ქალთა და ახალგაზრდობის ორგანიზაციებს და ისინი იჭერენ საპატიო ადგილს საერთო ბრძოლაში.

ახალგაზრდობა კი ყველაზე უფრო დაჩაგრულია. მას უხდება ბრძოლა ოჯახურ მდგომარეობასთან. ის ეკონომიურათ ყველაზე დაბლა დგას. ის აღშფოთებული ასეთი მდგომარეობით გაშმაგებით ებრძვის ასეთ უკუღმართობას და უსამართობას. ის ყალიბდება მტკიცე ორგანიზაციებში, ახალგაზდობის ორგანიზაციებში და იქ არკვევს თავის განსაკუთრებულ მოთხოვნილებათა გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საშუალებებს

ის მალე ითვისებს რევოლიუციონურ შეგნებას, ის უფრო გაბედულად იბრძვის და თავისი განსაკუთრებული მიზნისათვის ბრძოლის გარდა გვერდში უდგება მუშათა კლასს საერთო განმანთავისუფლებელ ბრძოლაში და შეადგენს მის საუკეთესო ნაწილს.

ერთ სახელმწიფოს ფარგლებში მამაკაცნი, ახალგაზრდები და ქალნი გამონახავენ საერთო ენას ეკონომიური მდგომარეობის კარნახით და ისინი ცოტათ თუ ბევრად შეკავშირებულად იბრძვიან. ეხლა უკვე თითქმის ისპობა კონკურენცია მამაკაცთა და ქალთა შორის, ახალგაზრდა და მოწიფულთა შორის და ისინი სოლიდარულად გამოდიან საბრძოლველად.

მაგრამ სხვა და სხვა სახელმწიფოში სლისდა სხვა საფეხურზე იყო კაპიტალისტური წარმოება და მაშასადამე მუშათა ის შეგნებაც თუ მაგალითათ კაპიტალისტებს უძნელდებოდა ბრძოლა თავის მუშათა კლასთან, მათ მოჰყავდათ მუშები სხვა უფრო ჩამორჩენილ ქვეყნებიდან და ასე ახერხებდნენ მუშათა კლასის დამარცხებას. მოწინავე ქვეყნებიდან კი „გამოცდილი“ მუშები მიჰყავდათ ჩამორჩენილ ქვეყნებში და ასე ებრძოდენ მუშათა მოძრაობას.

მეორე მხრით წარმოებამ მიიღო სხვა ხასიათი. უკვე სხვა და სხვა ქვეყნებს დიდი გავლენა აქვთ ერთ მეორეზე. თუ მაგალითად ჩინეთში ჩაის მოემატება ფასი იმის შედეგი იქნება გაფიცვა რომელიმე ევროპის და ამერიკის ქალაქში. უკვე აუცილებლობათ გახდა სხვა და სხვა ქვეყნების მუშათა კლასის დაახლოვება-შეკავშირება, ე. ი. ინტერნაციონალიზაცია. და აი სწორედ მუშათა კლასი სხვა და სხვა ქვეყნებისა კავშირდებიან და შეადგენენ საერთაშორისო მუშათა კავშირს, ინტერნაციონალს, რომელიც ხელმძღვანელობს საერთაშორისო მუშათა მოძრაობას. მაშინ აშკარა ხდება რომ მუშათა კლასის განთავისუფლება რომელიმე ერთ ქვეყანაში შეუძლებელია და საერთაშორისო მუშათა კლასმა დააწერა თავისი დროშაზე:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“...

ამიერიდან მუშათა კლასი ინტერნაციონალურია.

მუშათა ახალგაზდობა ყველგან ყველა მოძრაობებში დგას მოწინავე პოზიციაზე. ის საუკეთესო ნაწილია მუშათა კლასისა. ის თავგანწირვით და თავდავიწყებით იბრძვის მუშათა საერთო საქმისათვის, მაგრამ მასთან ის ისეთივე თავგანწირვით იბრძვის თავისი განსაკუთრებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მუშათა ახალგაზრდობის მოძრაობა ყალიბდება მე XX საუკუნის მეორე ნახევარში. ერთი მთავარი მიზანი მუშათა ახალგაზრდობის მოძრაობისა არის ბრძოლა მილიტარიზმთან.

კაპიტალისტური სახელმწიფოები მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 დასაწყისში აძლიერებენ შეიარაღებულ ძალებს, განსაკუთრებით მუდმივ ჯარს, აკეთებენ აუარებელ იარაღს, რისთვის?

იმისთვის რომ მათ შორის უკვე ეკონომიური ნიადაგზე, საერთაშორისო ბაზრის გაყოფის გარშემო, მოსალოდნელია ომები.

მეორე მხრით იმისთვის რომ მუშათა კლასის მოძრაობა, რომელიც უკვე საშინელი გახდა კაპიტალის ბატონობისათვის დროზე ჩაექროთ.

მუდმივი ჯარი შესდგებოდა მუშებისა და გლეხებისაგან, განსაკუთრებით ახალგაზრდა მუშებისა და გლეხებისაგან.

ჯარში გაწვეულ მუშათა ახალგაზრდობას ისე ზრდიდენ, რომ მათ ავიწყდებოდან თავისი მუშური მდგომარეობა და მუშათა კლასის მოძრაობას სისხლში ახრჩობდნენ.

მაგრამ წარსულ საუკუნის დასასრულის ახალგაზრდობა ერკვევა ასეთ მდგომარეობაში და შეიგნებს თავის მოვალეობას. ახალგაზრდათა ორგანიზაციები სხვა და სხვა სახელმწიფოებში ებრძოლონ მილიტარიზმს.

და ამ გზით მეოცე საუკუნის დასაწყისში ახალგაზრდობის ორგანიზაციები მთელ ქვეყანას ედება და ისინი აღწევენ სწორუფლებიანობას მუშათა ორგანიზაციებთან, ახალგაზრდობის ინტერესები, როგორც მუშათა კლასის საერთო ინტერესები—ინტერნაციონალურია და სწორედ ახალგაზრდობაც კავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციაში, ახალგაზრდობის ინტერნაციონალში, რომელიც მუშათა ინტერნაციონალთან ერთად იბრძოდენ მუშათა კლასის და მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

კაპიტალიზმის ფარგლ[illegible]ვე დადგა სოციალისტური. რევოლიუციათა ხანა.

სოციალისტური რევოლიუცია დაწყებულია. ეხლა არ შეიძლება საკითხი კაპიტალიზმის დატოვებაზე და არსებობაზე. ეხლა დგას საკითხი კაპიტალიზმის დანგრევაზე და კომუნიზმის აშენებაზე. უკანასკნელმა ომმა, იმპერიალისტურ რეაქციონურმა ომმა; დააჩქარა სოციალისტური რევოლიუცია. ომმა ნათელჰყო, რომ კაპიტალიზმის დატოვება, არ შეიძლება. საწარმოვო ძალთა განვითარება მიგვაქანებს სოციალიზმში, კომუნიზმში. კაპიტალიზმს და კომუნიზმს შორის არის გარდამავალი ხანა, როდესაც პოლიტიკური ბატონობის ფორმა შეიძლება იყოს მუშათა დიქტატურა, ფოლადისებური დიქტატურა პროლეტარიატისა.

მუშათა კლასი ყველგან დგას კომუნიზმის დროშის ქვეშ. ახალგაზრდა მუშები და გლეხები მოწინავე პოზიციაზე დგანან ამ ბრძოლაში და გვერდს უმშვენებენ მუშათა კლასს. მუშათა კლასი შეკავშირდა მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალში. მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა შეკავშირდა ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალში, რომელიც დგას მე-3 ინტერნაციონალის პლატფორმაზე, და რომელსაც მაღლა უჭირავს რევოლიუციონურ კომუნიზმის ალისფერი დროშა. ახალგაზრდობის წინაშე დგას დღეს უმთავრესად საკითხი საბოლოო განთავისუფლებისათვის ბრძოლისა. მან ეს უნდა დაამტკიცოს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. მან უკვე დაამტკიცა ეს სიტყვითაც და საქმითაც. მან სთქვა ეს და გადადგა ნაბიჯი აქეთკენ, ის მუშათა კლასთან არის ამ ბრძოლაში. მაგრამ საჭირო იყო ეს საერთაშორისო სოლიდარობა კომუნიზმისათვის ბრძოლისა ეთქვა თვით მასსებს და თვით მასსებს, ახალგაზრდობის მასსებს გადაედგათ აქეთკენ ნაბიჯი და არა მარტო (ახალგაზრდობის უმაღლეს ორგანოს) ახალგაზრდობის ინტერნაციონალს. ეს საჭიროდ დაინახა თვით ინტერნაციონალმა და ამიტომ გადასწყვიტა 5 სეკტემბერი გამოაცხადოს—ახალგაზდობის დღეთ. ამ დღეს მთელ ქვეყანაზე ახალგაზრდა მუშები გამოვლენ ქუჩაში წითელი დროშებით დ დემონსტრაციებზე. მიტინგებზე, კრებებზე საქვეყნოდ განაცხადებენ,, რომ მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა სოციალისტური რევოლიუციის გასამარჯვებელ ბრძოლაში მოწინავე რიგებში იქნებიან.

მთელ ქვეყანაზე დღეს იქნება მოწყობილი დიადი დღესასწაული ახალგაზრდობისა.

ახალგაზრდობა იტყვის დღეს რომ ის სასიკვდილო ლახვარ ჩასცემს კაპიტალიზმს და ბრძოლას მიიყვან გამარჯვებამდე, კომუნიზმამდე.

დიდი მსხვერპლი დასჭირდება ახალგაზდობას დღეს. მარა ის გაიღებს ამ მსხვერპლს. ამ მხრით რუსეთის ახალგაზრდობა თითქოს ყველაზე უფრო ბედნიერია. მაგრამ მხოლოდ თითქოს: ვინაიდან მან აუარებელი მსხვერპლი გაიღო და ამ მსხვერპლის ნაყოფია თუ დღეს რუსეთის ახალგაზრდობას ჰყავს მუშურ-გლეხური მთავრობა და შეიძლება რუსეთის ახალგაზდობამ ეს დღე შრომის ფრონტზე ან წითელ ჯარში შესვლით იდღესასწაულოს. მას არ მოუხდება მთავრობის საწინაალმდეგო დემონსტრაციების მოწყობა, პირიქით ის თავის მთავრობასთან ხელიხელ ჩაკიდებულ –გადავა პროლეტარიატის დიქტატურით სოციალიზმში.

ჩვენ მივესალმებით ამ დღეს და გვრწამს, რომ დღეს მთელი მუშურ-გლეხური ახალგაზდობა მთელ ქვეყანაზე და განსაკუთრებით ევროპა-ამერიკაში გამოვა დარაზმული და მიუხედავად ჯოჯოხეთური პირობებისა ღირსეულათ იდღესასწაულებს მას.

ამიერიდან ხუთი სეკტემბერი ისტორიული დღე იქნება.

გაუმარჯოს ხუთ სეკტემბერს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

**ტომასი**

---

უადგილობის გამო ფურცლის მასალის ერთი ნაწილი (სხვათა შორის წერილი: **პასუხი „დამსწრე“ პროვოკატორს**) შემდეგისათვის გადაიდო.

**რედაქცია.**

---

**დრ. რედაქტორი:**
**დიმიტრი ჯორბენაძე.**

სტამბა „ეკონომია“ დიდი ვანქის ქ. № 3·